



აგროსერვისის ცენტრის გაზეთი

გაყინუკა

WWW.AGROSC.GE

№ 5 (11). ოქტომბერი . 2014 წელი

აგროსერვისის ცენტრის ჩაჭრის სადემონსტრაციო ნაკვეთში საადრეო მანდარინის პირველი მოსავლის დაკრეფვა დაიწყო. მანდარინის კრეფის პროცესში მონაწილეობა მიიღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, არჩილ ხაბაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გონა ცოფურაშვილმა, უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ანზორ თხილაიშვილმა, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა იოსებ აბულაძემ, ავთანდილ მესხიძემ და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის თანამშრომლებმა. ნარინჯოვანმა „რთველმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურა საადრეო, პერსპექტიული ჯიშების უპირატესობა და რეგიონში ციტრუსოვანთა ჯიშების განახლების ეკონომიკური გამართლებულობა.

10 ოქტომბერს, ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრის ჩაჭრის ცენტრის სანერგე სადემონსტრაციო ნაკვეთში საადრეო მანდარინის პირველი მოსავლის დაკრეფვა დაიწყო. მანდარინის კრეფის პროცესში მონაწილეობა მიიღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, არჩილ ხაბაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გონა ცოფურაშვილმა, უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ანზორ თხილაიშვილმა, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა იოსებ აბულაძემ, ავთანდილ მესხიძემ და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის თანამშრომლებმა. ნარინჯოვანმა „რთველმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურა საადრეო, პერსპექტიული ჯიშების უპირატესობა და რეგიონში ციტრუსოვანთა ჯიშების განახლების ეკონომიკური გამართლებულობა.



წელს ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრის სანერგე სადემონსტრაციო ნაკვეთში 8 ტონამდე მანდარინი დაიკრეფება. აღებული მოსავალი აუქციონის წესით გაიყიდა და შემოსული თანხა მოხმარდება ცენტრის სანერგე მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრის ჩაჭრის სანერგე სადემონსტრაციო ნაკვეთში 6 ნაკვეთი 11 ჰა ფართობზეა გაშენებული, რომელიც უცხოეთიდანაა (ჩინეთი, ესპანეთი, თურქეთი, იაპონია) შემოტანილი. 2015 წლისთვის რეგიონში ციტრუსის ჯიშოვანობის მიზნით აგროსერვისის ცენტრში წარმოებული ნერგები მოსახლეობას სიმბოლურ ფასად გადაეცემა.

ლია მარკოიძე

პრეზენტაციაზე 9 თვის შედეგები განიხილეს

2014 წლის 22 ოქტომბერს აგროსერვისის ცენტრის გვარა-ხუცუბნის ოფისის საკონფერენციო დარბაზში აგროსერვისის ცენტრის საინფორმაციო-საკონსულტაციო განყოფილების მიერ მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული სამუშაოს პრეზენტაცია გაიმართა.



პრეზენტაციაზე სრულად იქნა წარმოდგენილი ის ჩატარებული მუშაობა, რომელიც დამტკიცებული გეგმის მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა და მიზნად ფერმერთა მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას, მეურნეობის გაძლიერებას, მომზადება-გადამზადებას, ინფორმირებულობას, ხარისხის ამაღლებას, მონივრულ გამოცდილებათა გაზიარებას და ნოვაციების გაცნობა-დაწერვის მიმართულებით განხორციელდა.

პრეზენტაციაზე საჭირო ვითარებაში ჩატარდა, დაიხსნა არაერთი საინტერესო კითხვა, წამოიწია არაერთი პრობლემა და მასზე კონკრეტული, კომპეტენტური პასუხებიც იქნა გაცემული. იქვე დაიხსნა სამომავლო კონტურები, გამოითქვა სურვილები და სამსახურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებამ უწყების ხელმძღვანელებისგან ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. გაკეთდა შეფასებები, რომლითაც ორგანიზაციის რაიონული სტრუქტურის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ავთანდილ მესხიძე და როსტომ შერვაშიძე, აგროსერვისის ცენტრის დირექტორი გონა ბერიძე, რეგიონული მედიის წარმომადგენლები და მეზობელი სამეურნეოსა და იმერეთის საინფორმაციო-საკონსულტაციოს სამსახურის მუშაკები. პრეზენტაციის შედეგები აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ როსტომ შერვაშიძემ შეაფასა.

ლია მარკოიძე

იაპონური მანათი ხელოვნური ნაღებების წარმოების დაწყება

გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, იაპონიის მთავრობის დაფინანსებით, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისში დღეს, ფერმერთა კოოპერატივების გაუმჯობესების პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც დიოკნისის სასოფლო-სამეურნეო მომსახურების სერვისცენტრს სხვადასხვა დასახელების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადაეცა.



პროექტის მიზანია სოფელ დიოკნისის სოფლის მეურნეობის სექტორის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებით თანამედროვე მანქანა-დანადგარებით უზრუნველყოფა და სარწყავი სისტემებით არხის გაუმჯობესება, რომელიც სარგებელს მოუტანს სოფლის 230 ფერმერს. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 89,776 აშშ დოლარს. პროექტის საგრანტო შეთანხმებას ხელი მოეწერა 2013 წლის 7 თებერვალს. იაპონიის საელჩოსა და ასოციაცია საქართველოს ბიზნეს კონსალტინგ ორგანიზაციის შორის. გახსნის საზეიმო ცერემონიას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე იოსებ აბულაძე, იაპონიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტომოი კაიტანი და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე ესწრებოდნენ.

გაეროს საგრანტო პროგრამის პრეზენტაცია

სასტუმრო შერატონში „ENPARD AJARA“-ს წარმომადგენლები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებს შეხვდნენ და საგრანტო პროგრამის პირობები გააცნეს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას. პროგრამის მონაწილეები 50 000 აშშ დოლარამდე გრანტით ისარგებლებენ, მათ გრანტის ფარგლებში შეუძლიათ როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანა, ასევე გადამამუშავება. საგრანტო განაცხადი შეუძლია წარმოადგინოს აჭარაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც დაკავებული არიან ან აპირებენ დაკავდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით.



შეხვედრას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე და ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოზარდის გამოჩენა და ნორმალური გამოვლიანობა - უაჩივლელი საზრუნავია

ნებისმიერ დროს შესაქონლეობის განვითარების უმთავრეს პირობას წარმოადგენს მისი დასაცავად და საგრანტო, სანაშენებელი მოზარდის წარმოადგენდა. დღეს ნაცვლად იმისა, რომ მიღებული ხბოების სანაშენებელი ან სახორცე გამოზრდა ხდებოდა, მათ დაბადებიდან რამდენიმე კვირიდან, ან თუ იან ასაკშივე ყიდიან, ისიც საყურადღებოა, რომ მათი უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთ გადის. 2013 წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით 6000 სულზე მეტი ხბო და მოზარდი პირუტყვია საზღვარგარეთ გაყიდული, ეს დაფიქსირებულია ვეტდეპარტამენტის მიერ, თუმცა სავარაუდოდ, არაოფიციალური მონაცემებით, ეს რიცხვი გაცილებით მეტიც უნდა იყოს. აქვე დაეძინა, რომ ეს ანომალია შემთხვევითი მოვლენა სულაც არ გახლავთ, იგი როგორც ჩანს, პირველ რიგში, მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, სოფლის მოსახლეობის სიდუხჭირემ და ერთგვარმა განუკითხაობამაც განაპირობა. ცნობილია, რომ ხბოს ხორცზე ყოველთვის იყო მაღალი ფასი და ბოლო დროს ჩვენს მეზობელ სა-

ხელმწიფოებშიც ხბოს დელიკატურ ხორცზე მოთხოვნილება საკმაოდ გაიზარდა. ყველაფერი ეს ჩვენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მეცხოველეობის პერსპექტივაზე უარყოფითად აისახა, რადგანაც, ეს გზა არაა მაინცდამაინც მიზანშეწონილი და გამართლებული, ჩვენ ამით ხომ მზარდი განვითარების რესურსებს ვანადგურებთ, რაზეც სერიოზულად უნდა დაფიქრდეთ. ძველი და საშუალო თაობის სპეციალისტებს კარგად ემახსოვრებათ, რომ იყო პერიოდები, როცა ჩასაბარებელი საქონლის ზღვრული წონები იყო განსაზღვრული და ჯიშების მიხედვით, გარკვეულ წონას მიუღწეველი პირუტყვის დაკვლა, თუ მას სხვა რაიმე ობიექტური მიზეზები არ ჰქონდა, არ იყო მიზანშეწონილი. იმედია, სამომავლოდ იქნება რეგულაციები, რომლებიც გარკვეულწილად, საბაზრო პირობებშიც კი დაარეგულირებს ხბოების დაკვლის წესებს, დაახლოებით ისე, როგორც ეს განვითარებული აგროსექტორის მქონე ქვეყნებშია.

დასასრული მე-2 გვერდზე

2

აგროსერვისის ცენტრში გოსტენულის სათბურის ამოქმედება

აგროსერვისის ცენტრის გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობაში თანამედროვე, აგროტექნოლოგიით მოსაწყობად ახალი სათბური ამოქმედდა.

2

მიწას უთმავს.....

ბუნებაში, გამონაკლისის გარდა, არ არსებობს ცუდი და კარგი მიწა. არსებობენ, როგორც ამბობენ, მხოლოდ ცუდი და კარგი მეურნეები.

3

კაკალი ეკონომიკურად მომგებიანი კულტურაა

კაკლის ღირსებებზე, სიკეთეზე და გამოყენების ფართო სპექტრზე კაცობრიობისათვის თითქმის ყველაფერი დიდი ხანია კარგადაა ცნობილი.

4

სასარგებლო რჩევაები პროფესიონალისგან

ბოლო დროს კაკლის მურაბით, მისი უნიკალური თვისებებით და ღირებულეობებით მსოფლიო და ევროპული ბაზარი სერიოზულადაა დაინტერესებული.

მინა უთქვამს...

ვინც ყაირათიანად მომექცევა ხევი და ბარაქა არ მოაკლდებაო. ეს ნამდვილად ასეა, რადგანაც ბუნებაში, გამონაკლისის გარდა, არ არსებობს ცუდი და კარგი მინა. არსებობენ მხოლოდ ცუდი და კარგი მეურნეები, რომელთა გონივრულ საქმიანობაზე, მეცნიერულ-პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისად გასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებათა სრულად დაცვაზე ბევრად და მოკიდებული არა მარტო მისი ბუნებრივი ნაყოფიერების შენარჩუნება, არამედ მისი ზრდა და გაკულტურება.



საქართველოს ბუნებრივი-კლიმატური პირობები და გავრცელებული ნიადაგების ფიზიკო-ქიმიური თვისებები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ერთი და იმავე ნაკლები დანახარებით მივიღოთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალ და ხარისხიან მოსავალი, მაგრამ ამისთვის მეურნე გვარი ანადაც უნდა დაიხარჯოს და გაიხარჯოს.

დღესათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გაზრდას და მისი ხარისხის გაუმჯობესება კვლავ აქტუალურია და არსებული სასურსათო დეფიციტის დაძლევის მთავარი ქვაკუთხეა. ამისათვის ყველა რეზერვი ვერ კიდევ სანახევროდ არ არის გამოყენებული. განსაკუთრებით ნიადაგში ჰუმუსის შემცველობისა და შესაბამისად, მისი ადგილი ნაყოფიერების ამაღლების საქმეში, რაც მეურნეს თავისი გონივრული საქმიანობით, ზედმეტი დანახარების გარეშე თავისუფლად შეუძლია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (აქ) აგროსერვის ცენტრის ცენტროსონების, ვახიას და ხეხილოვნების სადედუქო-კოლექციო საწარმებში და სადემონსტრაციო ნაკვეთებში მოწყობილი საწარმები, ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ ამის ნათელი დადასტურებაა, იმასაც გვრედა გავსება საზი, რომ ეს საწარმები და მუნიციპალიტეტებში სადემონსტრაციო ნაკვეთები შეიძლება ითქვას, იმაზე უფრო ცუდ ადგილებშია მოწყობილი,

ვიდრე რეგიონში არსებული საგარეულობა. აქედან გამომდინარე, მიღწეული შედეგები ზემოთქმულის ნათელ დადასტურებაა. ამიტომ სანამ მენარმე სოფლად საქმიანობას ნაშრომებდეს უნდა შეისწავლოს იმ ფართობის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობა და იმ კულტურების ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ნიშანთვისებები, რომლის მოყვანასაც აპირებს. ყველა ამ მონაცემების გათვალისწინებით დანერგული საქმიანობა ყოველთვის შედეგად იქნება, სხვა შემთხვევაში სასურველ შედეგს ვერასოდეს მიადნევა. როგორც წესი, დასავლეთ საქართველოში და მთ შორის აჭარაშიც, საგარეულობა ნათელ მინა, ენერმინა, ყომრალი და ზემინა ნიადაგებით არის წარმოდგენილი, რომლებშიც ნიადაგი მუყავა და განეიტრალებს საჭიროებს, ხოლო ჰუმუსის შემცველობა, რომელიც ნიადაგის ნაყოფიერების განმსაზღვრელია 2% -3% არ აღემატება, ამიტომ სასურველი მოსავლის მიწაზე დასავლეთ ყოველ 5 წელს ერთხელ მრავალწლიანი წარგებების ქვეშ საჭიროა სიმეფის გასანეიტრალებელი საშუალებების (დოლომიტი, დეფიციტური ტალახი, კირქვი და სხვა) შეტანა ჰექტარზე 8-12 ტონის ოდენობით. ასევე ბალის გაშენებისას აუცილებელია ორგანული სასუქების (წყველი, ტორფკომპოსტი, წყნუხი, ნემომალა და სხვა) შეტანა, საშუალოდ ჰექტარზე 10-20 ტონის ფარგლებში მოსაკრიანებელი მასალებისა და ორგანული

სასუქების დოზები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა იქნება (PH-ისა და ჰუმუსის შემცველობის შესაბამისად). შემდგომ პერიოდში ეს პროცესები მეურნე უნდა მართოს აგროტექნიკური ღონისძიებების აგროვადეში და მეცნიერულ-პრაქტიკული გამოცდილების სრული დაცვის ჩატარებით. აგროტექნიკურ ღონისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცის მკვნივლი დაავადებებისაგან და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვას, რომელიც განსხვავებულია არა მარტო ცალკეული კულტურებისათვის, არამედ ნაკვეთის ადგილმდებარეობითაც ნებისმიერ შემთხვევაში კომპლექსური მეთოდების (აგროტექნიკური, ქიმიური, მექანიკური, ბიოლოგიური და სხვა) გამოყენების შემთხვევაში ბევრად ნაკლებია

დანახარჯები და გარემოს დაზიანებების ალბათობა და მაღალია მიღებული მოსავლის ოდენობა და ხარისხი. ორი წლის წინ ამგვარი ნიუანსების გათვალისწინებით იქნა ჩვენი საწარმები გაშენებული და მათი მოვლა-პატრონობაც საერთოდ მიღებულ და აღიარებულ აგროტექნიკურ ღონისძიებებს ეფუძვნება. ამიტომ აგროტექნიკურ ღონისძიებებში ფერმერის განცვივრებას და შეკითხვებს ახლად გაშენებულ ბაღებში ასეთი შედეგის მიღწევა თითქოსდა რაღაც საიდუმლოებაში იმალებოდეს, ვუპასუხებთ, რომ აქ ერთი საიდუმლოებაა მხოლოდ - მიღებული წესით და თანმიმდევრებით ვატარებთ ყველაფერს, ისე როგორც ეს ქართული მატერიალური ფილმები ჯვარისკაცის მამაში ერთ - ერთ ეპიზოდში ასახული, როცა კახელი მშრომელი მამა და მებრძოლი რიგითი სალდათს პასუხობს „Сперва похаты, потом сеять“. თუ ამ ქვეშარტებას დღესაც დავიცავთ და თანაც თავის დროზე მოვხვებით და მერე დავთვასთ, შედეგებიც არ დააყოვნებს და ამაში აგროსერვისცენტრის შესაბამისი თანამშრომლები ყოველთვის გვერდში დაგვიდგებიან.

ნუგზარ თქობრიძე
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

აგროსერვისცენტრში გოსტნეულის სათბურში ამოქმედდა!



აგროსერვისცენტრის გარა-ზუცუბნის საწარმე მეურნეობაში სპეციალურად თანამედროვე, აგროტექნოლოგიით ბოსტნეულის მოსაყვანად ახალი სათბური ამოქმედდა.

480 კვადრატულ მეტრზე მოწყობილი სასათბურე მეურნეობაში, რომელსაც სამომავლოდ საჩვენებელ - სადემონსტრაციო დანიშნულებაც ექნება, უკვე ორი ინდიტერმინალური (ძლიერი ზრდის) ჰიბრიდული ვიშის პომიდორია დარგული: პირველია ლილოსი - რომელიც სიმწიფეში ადრე შესვლითა და ძლიერი ფესვთა სისტემით გამოირჩევა. შედარებით უხვსხმოიანია, ნაყოფი მაღალი სასაქონლო ხარისხითა და კვებითი ღირებულებებით გამოირჩევა. მტევანზე საშუალოდ 6 - 9 ნაყოფია. სტრესულ მდგომარეობაშიც კი მცენარიდან ნაყოფი არ ცვივა. თითოეული ნაყოფი 150 - 160 გრამს იწონის, მრგვალია, დამახასიათებელია საკმაოდ გამოკვეთილი ნივთიერი ფერი, ნაყოფი მკვრივია, კარგად ინახება და ტრანსპორტაბელურია. მეორე ვიში - ესმირა - იგი გასხილი გენერაციული მცენარეა, მოკლე მუსლთაშორისებით ჯგუფს განეკუთვნება. მისი ნაყოფი საკმაოდ დიდია და 190 - 210 გრამს იწონის, ნაყოფი გარდისფერია მწვანე ლაქების გარეშე და ხასიათდება საუკეთესო გემოვნებითი თვისებებით, ნაყოფი არ სკდება, იგი ცნობილია როგორც საუკეთესო სასალათო პომიდორი. მესამე ვიშია - ატილა - საადრეო ვიშია, ძლიერი ზრდის მქონე ჰიბრიდია. გამოირჩევა დიდი ზომის ნაყოფით. ნაყოფი მრგვალია და საშუალოდ 200 გრამს იწონის, ტრანსპორტაბელურია. ახალ სათბურებში დამონტაჟებულია გათბობისა და მორწყვის ნვეთოვანი სისტემა მცენარისათვის საჭირო სასუქების სერვისით. ყველაფერი ეს სათბურებში უზრუნველყოფს ამ მცენარისათვის საჭირო მკარო და მიკროკლიმატის შექმნას, როცა საბოლოო ჯამში მაღალი და ხარისხიანი პროდუქციის მიღებას უზრუნველყოფს.

სათბურს გააჩნია კები, შავის სავენტილაციო სისტემა სრულად უზრუნველყოფს სათბურებში ტემპერატურული და ტენიანობის იმ რეჟიმის დაცვას, რომელიც აგროტექნიკითა განსაზღვრული. სათბურებში დამონტაჟებულია განათების თანამედროვე სისტემა, რომელიც ზამთარსა და ხანგრძლივ ღრუბლიანობის პერიოდში ახდენს მზის სხივების (სინათლის) კომპენსაციას, რაც სტაბილური მაღალი და ხარისხიანი მოსავლისთვის ესოდენ საჭიროა. ახალ სათბურებში გათვალისწინებულია სპეციალურად დამატებითი დამატებური ანტიბლეს (ფუტკრის ერთი ოჯახი) მოწყობა, რაც საგრძნობლად ამაღლებს სანაყოფე, ყვავილის დამტვერიანების ხარისხს. მცენარეები დარგულია სათბურებში სპეციალურ ნიადაგში (გროუტერებში) რომელიც დაამატებულ და საკვები ელემენტების შენთვის უნარი გააჩნია. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ გროუტერების გამოყენება ჰერაა შესაძლებელი. სამომავლოსათვის სათბურებში გათვალისწინებულია საკვები ნივთიერებების მიწოდების კომპლექტური (ავტომატური) სისტემის დამონტაჟებაც, რაც ტექნიკური თვალსაზრისით სრულყოფს ამ მნიშვნელოვან აგროტექნიკურ პროცესებს. ჩამოთვლილი ტექნიკური პირობები და საშუალებები სპეციალისტთა გათვალისწინებით, რაც პრაქტიკითაცაა დადასტურებული, საშუალებას იძლევა ერთ კვადრატულ მეტრზე 20-25 კილოგრამი პომიდორი მივიღოთ. თანაც პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დონე ამცირებს ფიზიკურ შრომას და ამოდენს სათბურებისათვის, სამკაცინი მომსახურე, პერსონალიც საკმარისია.

ახალ სათბურებში შესაძლებელი იქნება სხვა დანიტერესებული ფერმერებისათვის სწავლება - სემინარების ჩატარება. მათი მომზადება და შემდგომში მას ერთგვარი სასწავლო - საჩვენებელი სანარმოს სახეც ექნება.

ელვარ ფულკარაძე
ალექსანდრე გვერჯაძე

მოზარის გამოზრდა და ნორმალური გამოზრდა - უჩინველსი საზრუნავია

დასარსული, დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩვენ, დარგის სპეციალისტები, ფერმერების და მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც უნდა ჰყავდეს და ჰყავს საქონელი, ვურჩევთ, რომ აუცილებლად უნდა იზრუნონ მოზარდის შენარჩუნებაზე, ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ საქართველოში არსებული 50 %- ზე მეტი სულადობისა არის უსისტემო შეჯვარებით მიღებული საქონელი, რომელიც ძალიან დაბალპროდუქტიულია და შესაცვლელი. ამ დაბალპროდუქტიულობის აღმოფხვრის აპრობირებული მეთოდი ადგილობრივ დეკულებზე შემოყვანილი, მაღალპროდუქტიული ვიშის შეჯვარება ბუღა - მწარმოებელთან, ან სასურველი, მაღალპროდუქტიული ვიშის ბუღისგან აღებული სერშით ხელოვნური განაყოფიერება. სწორედ ასეთი გზით იქნა თავის დროზე მიღებული კავკასიური ნაბლას ვიშის პირველი საუკუნის ბოლომდე, გერმანიის გარიორაჟზე მოხდა, როცა გერმანელმა მემამულემ კუჩენბარმა დმანისში იყიდა მინის ნაკვეთი, შემოიყვანა რამდენიმე სული შვიცის ვიშის საქონელი, თუმცა ეს საქონელი რატომღაც ვერ შეეგუა ადგილობრივ პირობებს და დაავადდნო, გერმანიის მემამულე იძულებული გახდა ნასულიყო გაბედულ ექსპერიმენტზე და ისინი ადგილობრივ გარემოსთან შერწყმული და დაბატონებულ ვიშთან შეეჯვარებინა. ასე მიიღეს კავკასიური ნაბლას ვიში. მერე კი, მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე, ასეთივე გზით, შვიცის ვიშის ადგილობრივთან შეჯვარებით მოაშენეს საქონელი ახალქალაქში, პოგდანოვკაში, შემოხველ სოფელთან და დაღესტანში. დღესაც ეს ვიში კავკასიური ნაბლას სახელითაა ცნობილი. განსხვავებულია მხოლოდ მეგრული ნივთი და მისი ნივთილი საქონელი, რომელიც ხალხური სელექციის გზითა შექმნილი. თუმცა ისიც მოხდა ბუნებრივი ვიშთარღვევები და მათი სუფთა ვიშის სახით ნახვა სადღესოდ ძალზე ძნელია. ეს შედეგია იმის, რომ ნინა თაობებმა ვერ შეძლეს ჩვენი ბრძენი ნინაბრების მიერ დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით შექმნილი და დანატოვარი ოქროს ფონდის მოვლა - პატრონობა. სწორედ ამიტომაცაა მოტივირებული სულადობის ნამატის შენარჩუნება. ეს არის სამომავლო, ეროვნული და თუნდაც ისტორიული საქმე, რათა არ დაიკარგოს ის დარჩენილი მეცხოველეობის საგანძური, რაც დღემდეა მოსული. სწორედ ამიტომაცაა აუცილებელი შეინარჩუნოთ და გაეზარდოთ ნამატი, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო მასშტაბურად გაეხადოთ შესაძლებელი განვითარებული ქვეყნებიდან შემოტანილი ბიომასა-ლით ადგილობრივი საქონლის ხელოვნური განაყოფიერება და სამომავლოდ მისი ვიშობრივი გაუმჯობესება. ჩვენებური, ჩვენი ნინაბრების მიერ გამოყვანილი ადგილობრივი საქონლის არა მარტო რძის პროდუქტები აქვს განუმეორებელი გემოსი თუ კვებითი ღირებულების, არამედ გამოირჩევა მისი ხარისხიც, განსხვავებით სხვა ანალოგებისგან, ჩვენებური საქონლის ხორცს განუმეორებელი არიმა-

ტი, კუნთოვანი და ცხიმოვანი მოსავლის შემადგენლობა და გამორჩეული კვებითი ღირებულება გააჩნია, ეს ძირითადად ჩვენებური გარემოთი, დაბალანსებული, ბუნებრივი კვების რაციონით, წყლითა და სხვა პირობებითაა განპირობებული და ამიტომაცაა, ასეთი მზარდი ინტერესი უფრო ქვეყნების მომხარებელთა შორიდან. ეს ფრიად საგულისხმო და გასათავალისწინებელი ფაქტორია და სამომავლოს ამას ჩვენთვის, ჩვენი ეკონომიკისათვის სერიოზული დევიდენტების მოტანაც შეუძლია, თუ კი, რა თქმა უნდა - ამას გონივრულად გამოვიყენებთ და დღეს ვიტყვი თუარს ხობების ასე უმოწყალოდ განადგურებაზე.

ნებისმიერმა მესაქონლემ, ფერმერმა უნდა გაითავსოს, რომ კარგი ხარისხის მოზარდის მიღება შეუძლებელია მისი მოვლა - შენახვისა და კვების ოპტიმალური პირობების გარეშე. ცხოველების სანაშენეთა პროდუქციულ თვისებებზე ზრუნვა იწყება ფურის განაყოფიერების დღიდან. დადგენილია, რომ განაყოფიერებიდან პირველ 34 - 35 დღეზე ნაყოფის მასა 600-ჯერ იზრდება, ხოლო 61 დღიდან მიმდინარეობს მისი ბიოლოგიური სისტემების შემდგომი გარდაქმნა, აქედან გამომდინარე, ნორმალურად განვითარებული ხბოს მისაღებად აუცილებელია ფურის ნორმალური კვება, მიღებული ნამატის მოვლა და მისი გამოზამთრება.

განსაკუთრებით ამას ყურადღება აჭარის დაბლობი ზონის ფერმერებმა უნდა მიექციონ, რადგანაც სწორედ დაბლობ ზონაშია მოსალოდნელი წლის ყველა დროის ნამატის მიღება. მისი გაზრდა - გამოზამთრება იმ 150 დღიან ციკლს მოიცავს, რომელიც წლის ყველაზე ცივი და მკაცრი პერიოდია და პირველ რიგში მეცხოველისგან იგი მოითხოვს პირუტყვის სადგომში ნორმალური, დაახლოებით 15 0მ - იანი ტემპერატურული რეჟიმის შექმნასა და დაცვას. დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ, ან ხელოვნურ ვენტილაციას, აუცილებელი სასინათლო კოეფიციენტის დაცვას და სხვა. რეკომენდირებულია - პირუტყვის სადგომის 1/5, 1/6 ნაწილებში იყოს ფანჯარა და სადგომი მუდმივად იწმინდებოდეს. მნიშვნელოვანი ფაქტორია ნამატის ნატურალური რძით კვება. ამასთან, აუცილებელია ასევე საკვებ რაციონში დაემატოს მაღალხარისხიანი კონცენტრატი, წვრილად დაფქული ლელილის სახით. ასევე სასურველი და რეკომენდირებულია მიეცეს გარკვეული დოზებით სიოის ფაქილი, შრატი და მზესუმზირის კომპონი, რაც პროტეინის დაბალანსებას შეუწყობს ხელს.

მინდა ჩვენს ფერმერებს და მეცხოველეობით დაინტერესებულ პო-

რებს ვუთხრა, რომ ვეროპის განვითარებული მეცხოველეობის ქვეყნებში სანაშენ ხბოს გამოზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ, ამ მიმართულებით რამდენიმე მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად აპრობირებული სქემა არსებობს, რომელთაგანაც ერთერთს ჩემი მისაზრებით, საკმაოდ მარტივად და ეფექტურად შემოგთავაზებთ. ამ სქემის მიხედვით:

- 1) დაბადებიდან პირველი 6 საათის განმავლობაში ხბოს აძლევენ სათანადო ხსნარს (მისი ცოცხალი წონის 1/5 - 1/6 - რაოდენობით) და შემდგომ 24 საათის განმავლობაში
- 2) ახალშობილი ხბო 2 დღის განმავლობაში იმყოფება დედასთან და თავისუფლად წოვს ძუძუს (თუმცა არიან სპეციალისტების ნაწილიც, რომლებიც ამ მეთოდს ეწინააღმდეგებიან, თითქოსდა, ნოვისას ვიქსში არტყმისას პირუტყვი ნერვიულობს და სხვა უარყოფითი მომენტები იქმნება, ამიტომ პირდაპირ წოვებას არ ურჩევენ).
- 3) საკვებ რაციონში დაბატებული კონცენტრატის რაოდენობას ეტაპობრივად ზრდის, რათა საფურე ხბო გარკვეულ პერიოდში 1 კგ კონცენტრატი მიიღოს. საფურე ხბოსთვის დარგული კონცენტრატის მაგალითები:

- I. კონცენტრატი: ქერი 50-75%, შვრია 25%
 - II. კონცენტრატი: ქერი 50-50-70%, მხესუმირის კომპონი-30%
- ამავე მიზანს ემსახურება რძის ასაკის საფურე ხბოს გამოზრდის სქემა (ხილვ ცხრილი) სადაც გათვალისწინებულია ნატურალური რძის 30 კილოგრამამდე შემცირება ნინა სქემასთან შედარებით.

თვე	დეკადა	ცოცხალი მასა თვის ბოლო კგ	საკვების დღური ნორმა ფიზიკური მასით			
			რძე	კონცენტრატი	თივა	სიმინდი პარკოსანი სილოსი ან
1.	I.	4,5	0,1-0,3	0,1	-	
	II.	5,0	0,4	0,3	-	
	III.	40	5,0	0,7	0,5	
2.	IV.	4,5	1,0	0,7	-	
	V.	3,5	1,3	0,8	-	
	VI.	55	2,5	1,4	1,0	
3.	VII.	1,5	1,6	0,8	-	
	VIII.	1,0	1,5	1,0	-	
	IX.	70	-	1,5	1,2	
4.	X.	-	1,5	1,5	2,5	
	XI.	-	1,5	1,5	3,0	
	XII.	85	-	1,5	1,5	
5.	XIII.	-	1,5	2,0	4,0	
	XIV.	-	1,2	2,5	4,5	
	XV.	100	-	1,2	2,5	
6.	XVI.	-	1,0	3,0	6,0	
	XVII.	-	1,0	3,0	7,0	
	XVIII.	115	-	1,0	4,0	
საკვების დანახარჯი 6 თვის განმავლობაში			265	180	261	364
საკვები ერთეული კგ			90,1	180	122,7	58,2

კაკალი ეკონომიკურად მომხიბვლიანი კულტურაა

სხვა საქმეა - თუ როგორ მოუარეს ამ ნერგებს შემდეგ, რამდენიმე წელიწადს. - ეს ინიციატივა მოქმედებდა და როცა საკუთარი არ ჰყოფნიდათ, ნერგები მეზობელი რესპუბლიკე ბიდანაც კი შემოიპოვნდათ. მერე კი - როგორც ჩანს, პირველი ხელმძღვანელი მოსკოვს დაინიშნურეს, მისი მემკვიდრე კი როგორც ჩანს კაკალს - მაინცდამაინც არ სწავლობდა და მოუვლელი - შემოუღობავი მილიონზე მეტი კაკლის ნერგი საქონელმა გადაჭამა, ან მოუწვევლობით - ვალვამ იმსხვერპლა, რაც გადაარჩა, ახლა მის ნაყოფს ვაგემოვნებთ, თორემ, ხომ წარმოგადგენიათ, და - ახლოებით მილიონნახევარი კაკლის ნერგი რომ გაზრდილიყო, ახლა კარგა ხნის მსხმოიარე იქნებოდა თუ მას არსებული და შემდეგ დარგულიც დაემატებოდა ახლა კაკალი „ყვავისაგან გასაფდება“ კი არა, არამედ ასეული თუ არა, ათეულობით მილიონი დოლარის საექსპორტოდ კაკლის პატრონი მაინც ვიქნებოდით... და იქნებ ამ პროდუქციის ექსპორტის ლიდერი ქვეყნის - ინდოეთისთვისაც კი გაგვესწრო.

კაკლის ღირსებებზე, სიკეთეზე და გამოყენების ფართო სპექტრზე კაცობრიობისათვის, თითქმის ყველაფერი დიდი ხანიაა ცნობილი, თუმცა ზოგიერთ მათგანზე, მაინც შევჩაგრებთ მკვითხველის ყურადღებას.

კაკალი გავრცელებულია თითქმის მთელს მსოფლიოში, გარდა ცივი ზონებისა. საქართველოში იგი ზოგიერთ რეგიონში ველურადაც იზრდება, ხალხური სელექციით კაკლის მრავალი ჯიშია გამოყენებული და ძირითადად მას კულტურულ მცენარედ მიიჩნევენ.

ქართულ ტრადიციაში ნიგოზს გამოყენების ძალზე ფართო არეალი აქვს. იგი რეკომენდირებულია და ფართოდაც გამოიყენება უმაღლეს საჭმელად, თუმცა, იგი შეუცვლელია ეროვნული კერძების შესაკაზმავად. ნიგოზით დამზადებული ქართული სამზარეულოს მშვენიერება - შედეგრი - „საცივი“, განუმეორებელი „აიხნი“ და მერგული ნიგოზიანი „ხარჩო“, ყველა სახის ფხალებული და ზოსტეული - ნიგოზის საკაზმით - მთელს მსოფლიოშია ცნობილი, ხოლო ჩვენებური ჩურჩხელა, გოზინაყი და ნამდვილი საოცრება - ქართული დელიკატესი - კაკლის მურაბა - ევროპულ და მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო პოპულარული ხდება.

შესაძლოა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა არ იცოდეს, რომ ორგანიზმისათვის ესოდენ საჭირო და აუცილებელი C - ვიტამინის რაოდენობით ნიგოზი რვაჯერ აღემატება შავ მოცხარს და 50 - ჯერ ციტრუსებს!

კაკლის გული 54-74 % ზეთს, 12-21% ცილოვან ნივთიერებებს, ვიტამინ B-სა და პროვიტამინ A-ს შეიცავს. მას ბაქტერიოციდური თვისებებიც აქვს, ხალხურ მედიცინაში ჩვენი დიდი წინაპრები ფოთლებისა და ნენგოს ნახარშს კუჭის, გინეკოლოგიური დაავადებების, თირკმელებისა და საშარდო ბუშტის, სტომატიტისა და ანგიისის სამკურნალოდ ხმარობდნენ. გარდა ამისა, მის ნახარშს ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლადც სვამდნენ, ნენგოს ფხვნილი სისხლდენის შემამჩერებელ საშუალებად ითვლება. ამ უკანასკნელ დრომდე, ნენგოსგან მზადდებოდა სამკურნალო

საშუალო ასაკის ადამიანებს კარგად ემსხვერვებთ გასული საუკუნის მიიანი წლების დასაწყისში, იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლების მოწოდება - წელიწადში ერთი მილიონი კაკლის ნერგის დარგვა - გახარებასთან დაკავშირებით. მაშინ საზოგადოებამ ეს მოწოდება ერთგვარად აიტაცა კიდევ და გარკვეული მუშაობაც ჩატარდა. თითქმის ყველა ორგანიზაცია, შრომითი კოლექტივი ან სასწავლო რიგა ე.წ. „შაბათობებს“ მასიურად ატარებს და და მალე შედეგიც გამოიჩინა - გზისპირებზე, ფერდობებზე თუ ქალებში - უამრავი კაკლის დარგული და ჭივინზე აკრული ნერგი გამოიჩინა.



პრეპარატი „იუგლონი“, მას კანის ტუპერკულოზის წინააღმდეგ იყენებდნენ. ხალხურ მედიცინაში ოდითგან ეგზემის წინააღმდეგ დიდი ეფექტურობით იყენებენ ნენგოს და ჩვეულ მწვანე ნაყოფს. მათ გასჭრიან უსვამენ გეზემურ ადგილებზე. ცნობილია, რომ ნიგოზის მიღება სისხლში ამცირებს ქოლესტეროლს, რეკომენდირებულია იშემიით და ავადმუშაობისთვის, გულის დაავადებებისა და გიპერტონიისას, მცირესისხლიანობისას, ლვილის დაავადებისას, ძალიან სასარგებლოა ხანდაზმულთათვის, დიაბეტისას, კუჭის სიმპტომისადმი მიდრეკილების მქონეთათვის, დასუსტებულთათვის ძალისა და მხნეობის აღსადგენად. კუჭის წვეწის, მაღალი მჟავიანობისას უზომოზე ჭამა - კარგ შედეგს იძლევა. ნიგოზი გამოიყენება მძიმე მონამულისას.

ნიგოზი თავლთან ერთად გამოიყენება საშუალებად ჰიპერტონიისას, მცირესისხლიანობისას, ათეროსკლეროზისას, სხივილი დაავადებებისას და რაც თითქმის ყველას სმენია - მამაკაცური პოტენციის პრობლემებისას. ცნობილია იცის, რომ დანაყილი ნიგოზის სახეზე წასმით შესაძლებელია ჭორფლის მოცილება. კაკლის ზეთი ფართოდ გამოიყენება კონიუქტივიტების და შუა

ყურის ანთების სამკურნალოდ. ნენგოს უძველესი დროიდან იყენებენ ტყავის გასათრიმლად, ფოთლებს, ქერქს და ნენგოს იყენებენ ქსოვილებს, მატყლის, ნართის, ხალიჩების და თმის ნაცურისფრად, ან მოყავისფროდ შესაღებად. ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, იაპონიის ერთ-ერთი ფირმა კაკლის დაფხვნილ ნაჭუჭს, ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად იყენებს ცვეთისადმი დიდი გამძლეობის სამუხრუჭე მასალის წარმოშობაში, განსაკუთრებით, იგი მაღალტემპერატურულ პირობებში გამოიყენება.

საინტერესო თვისებებით გამოირჩევა კაკლის ფოთლო, მის ნახარშს დღესაც იყენებენ რახიტოანი ბავშვების აბაზანებისათვის, ხოლო მის კონცენტრირებული ნახარშით ქართველი ლაბანანები ხშირ ნაწილად ზებუნებრივ ელვარებას მატებენ. რაც მთავარია, კაკლის ფოთლები და მერქანი ისეთ ნივთიერებებს შეიცავენ, რომ მავნებლები ნაკლებად ერიან. ჩვენი წინაპარი მას ბელელში ფიჭის შესანახად და სკივრებში შალეულის, ჩოხა - ნაბადის შესანახად იყენებდა, რადგან მას ჩრჩილიც კი ვერ ეკარება. სხვათა შორის, კაკლის ფოთლების სუნი - არც თავგებს მოსწონთ და არც

კოლოებს, ასე, რომ ჩვენს წინაპარს კაკლის ხე ეზოში მარტო ნიგოზისა და ჩურჩხელისა - გოზინაყისათვის რომ არ ერგა - აქედანაც ჩანს.

რაც შეეხება კაკლის მერქანს, იგი უძვირფასესი საავიჯე ნედლეულია. სხვათა შორის ადრე, იგი წონით იყიდებოდა და საზღვარგარეთ დიდი რაოდენობითაც გაჰქონდათ შვი ზღვით... გამოგოცდებით, რომ ამ ბიზნესში ჩემი უშუალო წინაპრებიც იყვნენ ჩართულები. გასული საუკუნის 20 - იან წლებში ბაბუაჩემი, აჭის მკვიდრი მურად ჟორდანიაც, მის ლიხაურელ და ჭანიეთელ კომპანიონებთან ერთად კაკლის მასალას (ლებანოზს), ეს მუქი ფერის კაკლის ხის გულია, გამოირჩევა შოკოლადის ფერით, სიმტკიცით, სიმსუბუქითა და მდგრადობით, ისი ელიტარული თოფების კონდახებად და კოლხურ ბზასთან ერთად - პირველი ავტომობილების ფორნიტებისათვის გამოიყენებოდა, ასე რომ შენრი ფორდის ცნობილ ავტომობილებს ჩვენებურები კაკლის და ბზის ხიბლიც ახლდა, მაშინ ხომ პლასტმასებზე წარმოდგენაც კი არ იყო... ნუ) ასე, რომ კაკალი ჩვენთვის, ქართველებისათვის - პრაქტიკულად სასიცოცხლო მნიშვნელობის მცენარეა.

აგროსერვისცენტრის ინიციატივით და მხარდაჭერით გაეროს ENPARD AJARA-ს დაფინანსებით ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში დაახლოებით 21 ათას კვარტალ მეტრზე მოწყობილია კაკლის სადემონსტრაციო ბაზები. მაშინაც ითქვა და ახლაც ვიმეორებთ, რომ კაკლის კულტურის მასიურ გავრცელებას აჭარაში და არა მარტო აქ, უდიდეს ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად - ძალზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური დატვირთვაც გააჩნია. ჩვენი რეგიონი ხომ ძირითადად მთავრობის, თბილისი ნიადაგის მქონე მენეჯერსაშიში ზონაა და მენეჯერული მოვლენები, თანაც ტრავიკული და ლამის კატასტროფული შედეგებით - არაა უცხო. ხოლო კაკლის ხე, თავისი ძლიერი ფესვთა სისტემით, სწორედ რომ უნიკალური ბუნებრივი და თანაც ყველა, ტექნიკურ პროექტთან შედარებით გაცილებით იაფი და საკმაოდ ეფექტური მენეჯერდამცავი საშუალებააგანსაკუთრებით ციცაბო და მკვეთრად დახრილი ფერდობების გასამაგრებლად. ასევე ჭალებს მდგრადობის ასამაღლებლად. სწორედ ჩვენს სადემონსტრაციო ნაკვეთებში უახლოეს პერიოდში ათათასობით სხადასხვა ჯიშის კაკლის სტანდარტული ნერგი მომზადდება და სავარაუდოდ უდიდესი პრობლემის მოგვარებაშიც გარკვეული წილს ჩვენებური კაკალიც იტყვის. ამაზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა და შედეგებიც მალე გვექნება. ფაქტია და ამას ცვენი მეცნიერ - პრაქტიკოსებიც ადასტურებენ, რომ თუ რესურსებს და რეზერვებს ეფექტურად, სწორად და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებით გამოვიყენებთ, 12 - 15 წელიწადში მარტო ჩვენს რეგიონს ექნება კაკლისა და მისი პროდუქციის სახით ათეულობით მილიონი ლარის საექსპორტო პროდუქციის პოტენციალი. აი, მაშინ ნამდვილად გვექნება იმის თქმის საშუალება და სურვილი, რომ „ყვავს კაკალი გაგადგინებოთ“.

ნუნგარ ჟორდანი

ზოგი რამ კაკლის შესახებ

კაკალი ყოველთვის ყველა ებოქაში ერთგვარი „პოლიტიკური“ მუხტის მატარებელი იყო. ამის საკმაოდ მრავალი მაგალითი არსებობს.

ჩვენი საქართველოში კაკლის ნაყოფისაგან ჩვენი წინაპრები სამხედრო - სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტს - ჩურჩხელას ამზადებდნენ. ეს მარტო გემრიელი ნუგარი არ გახლდათ. ის მზადდებოდა და მზადდება ყურძნის ტკბილიდან, ნიგოზიდან და ფქვილიდან. მასში თავმოყრილია ადამიანისათვის აუცილებელი თითქმის ყველა ჯგუფის საკვები ნივთიერება: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ამინომჟავები, ვიტამინები და მიკროელემენტები. ჩურჩხელა ძალზე მაღალკალორულია, თვეობით ინახება ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, რამდენიმე კილოგრამი - ნორმალურ ადამიანს საკვებად თითქმის ერთ თვეს ეყოფა, არ ფუჭდება და მისგან კვებით - ტოქსიკური მოწამვლაც გამოირიცხება. ამიტომ, ქართველი მხედრობაში შორეული ლაშქრობებისა, თუ საომარი მოქმედებების დროს ჩურჩხელით და ხილეულის ტყლაპით იკვებებოდა, რაც ჯარს საველე სამზარეულოს ათავისუფლებდა, მის გადაადგილებას სწრაფს და მობილურს ხდიდა, თანაც, გაშირიტებული იყო გართულებები: დიზენტერია, კუჭ - ნაწლავის სხვა ინფექციები, რაც ქართუ-

ლი ჯარს მოწინააღმდეგესთან შედარებით სერიოზულ უპირატესობას ანიჭებდა. ამიტომაც იყო, რომ ართველ მეფეებს ყოველწლიურად ჯარისათვის გლეხობაზე შეწერილი ჰქონდა ჩურჩხელის გადასახადი, ამას აუცილებელი სახელმწიფო ბეგარის სახე ჰქონდა და მნიშვნელოვანია, რომ მას ყველა იხდიდა, თანაც ხშირად იმაზე მეტსაც, რასაც მოითხოვდა კანონი, ეს თითქმის ერთადერთი აუცილებლად გადასახადი ბეგარა იყო, რომელიც არასოდეს არავის გაუპროტესტებია ან ზერელედ, უხარისხოდ შეუსრულებია, პირიქით, ჩურჩხელის ხარისხიანად დამზადებაში ლამის ერთმანეთს ეჯობებოდნენ ქართველები. სხვათა შორის, ეს ამ თემას არ ეხება, მაგრამ აჭარაში ასეთ სტრატეგიულ, სამხედრო პროდუქტად ჩვენებური ყურუთი ითვლებოდა.

რაც შეეხება საცივს, რომლის ნამდვილი და პირველყოფილი ტექნოლოგია სადღეისოდ თითქმის შენარჩუნებულია და მკვლევართა ნაწილის აზრით, ამ უძველეს პროდუქტს თითქმის 2500 წლიანი ისტორია აქვს, სწორედ ნიგოზის ბაქტერიოციდური თვისება გამოიყენებული და საოცარია, რადონის განვითარებული წინაპრები გვყავდა, რომლებმაც მსოფლიოში პირველმა აღმოაჩინეს ის ფენომენი, რომელმაც მსოფლიო კულინარიას უდიდესი სამსახური გაუწია. მოგესხნებათ, საქართველო ცხელი თუ არა, საკმაოდ თბილი ქვეყანაა და აქ ბუნებრივ პირობებში ხორცის კერძი და თავად ხორცეული ძალიან მალე ფუჭდება. მაშინ, როცა მაცივარზე და შენახვის სხვა პირობებზე წარმოდგენაც არ არსებობდა, ქართველებმა შექმნეს

კერძი, რომელსაც, „საცივი“ უწოდეს. ეს კერძი ზრდასრული დედლისგან მზადდებოდა. (მაშინ რა თქმა უნდა ინდაურს არავინ იცნობდა და წესით ნამდვილი ქართული ბრენდი - ქათმის საცივი ნუ). მომზადების წინ დაკლულ დედალს ყველა მილოვან ძვალს ან ამტვირევდნენ ან აცლიდნენ და ხორცის რაოდენობის ტოლ დანაყილ ნიგოზთან ერთად ბულიონში ხარშავდნენ. სწორედ აქ აკეთებდა ნიგოზი იმ სასწაულს, რომელსაც თითქმის ვეღარც კი ვამჩნევთ, ამ მასაში მოხარშულ ქათმის ხორცში თითქმის ყველა ბაქტერია ილუპებოდა და კერძი 2 - 3 დღეს, ჩვეულებრივ პირობებში არ ფუჭდებოდა. სხვათა შორის, ოდითგან, საცივი მაგიაში ნადიმის პირველ დღეს არ გადიოდა, იგი მეორე დღეს, დილით, როცა დადლილ - ნაქვიფარი ხალხი ახალ სუფრას მიუჯდებოდა, სწორედ წინ დღით მომზადებულ საცივს მიირთმევდნენ, აბა გადაღლილ მომსახურე პერსონალს ახალი კერძების მომზადების არც თავი ჰქონდა და არც ტექნიკური პირობები. ეს კერძი ცივად გადიოდა სუფრაზე, ამიტომაც შეარქვეს მას „საცივი“. ჩემი პროფესიული დაკვირვებით და რწმენით, ეს მოსაზრება ყველაზე რეალურია, თუმცა არის სხვა მოსაზრებებიც, თუმცა ყველაში ერთი რამაა საერთო - ესაა ნიგოზის ფაქტორი და მისი ბაქტერიოციდური თვისებები.

ისტორიამ ისიც კი შემოგვინახა, რომ ძველ ბაბილონში ქურუმები მოქალაქეებს კაკლის ჭამას უყრძალავდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მისი ნაყოფი სასიკეთოდ მოქმედებდა ტვინის უჯრედებზე, ამიტომ, კაკალი ყველას არ უნდა ეგემა, რო-



გორც ჩანს, იმ დროს ბაბილონში ტვინ და გონებაგახსნილებს აშკარად არ სწყალობდა ხელისუფალი ქვეყნის მმართველი.

ნუნგარ ჟორდანი

მათთვის, ვისაც კაკლის გაშენება სურს!

სპეციალისტები გვიჩვენებენ, რომ ფართობის ერთეულზე კაკლის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღება შესაძლებელია მცირე კონტურიანი, ინტენსიური ტიპის ბაღების გაშენებით, რომლის საფუძველს, როგორც უცხოური, ისე ქართული სელექციის შედეგად მიღებული ახალი ლატერალური ტიპის მსხმოიარე ჯიშები.

კნუში

სელექციური ჯიშია, შერჩეული თავისუფალი დამტვერვის შედეგად მიღებული თესლენერგობიდან. ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების მხრივ, ხე სუსტი ზრდითა და კომპაქტური ვარჯით გამოირჩევა. მსხმოიარობს როგორც კენწრული (100%), ისე გვერდით (98%) სანაყოფე კვირტებზე. მსხმოიარობის ტიპი ლატერალურია. ყვავილობს აპრილის მესამე დეკადაში. თესლენერგი მსხმოიარობას აღმოცენებიდან მესამე წლიდან იწყებს. 6 წლიანი ხის სიმაღლე 2,5 მეტრია. ამდენივე ვარჯის დიამეტრიც. საადრეო ჯიშია. მწიფდება აგვისტოს ბოლოს. 6 წლიანი ხე საბოლოოდ 6 კგ ნაყოფს იძლევა. ნაყოფი საშუალო ზომისაა - მასით 10 გრამამდეა. ნაჭუჭი ღია ჩალისფერია, ძალიან თხელ - 0,8 მმ. ადვილად მტვრევადია. გული გამოდის მთლიანად, გემრიელია, გულის გამოსავლიანობა 53%-ია. ცხიმის შემცველობა 70%-მდეა. ცილისა კი - 18%-ია.

ლარა - (სინონიმი პიმრალი)



ეს ფრანგული ჯიშია, შერჩეული კალიფორნიული ჯიშის „პენის“ ნათესარებიდან უირონდის რეგიონში, ესჯიში საფრანგეთა და დასავლეთ ევროპაში ძალზე პოპულარული და საკმაოდ გავრცელებულია. მისი ვარჯი მომრგვალოა ზემოთ მიმართული, მსხმოიარობს ძირითადად ლატერალურ სანაყოფე ტოტებზე. ყვავილობს აპრილის ბოლოს, მწიფდება სექტემბრის მესამე დეკადიდან და სწორედ ოქტომბრის პირველ დეკადაშიც გადადის. ნაყოფი ოვალური ფორმისაა, ნაჭუჭი შედარებით სქელია - 1,3მმ. გამოირჩევა იმით, რომ მსხმოიარობას დარგვიდან 2-3 წლის შემდეგ იწყებს და გამოირჩევა უხვმოსავლიანობით - ჰექტარზე 5-7 ტონა ნაყოფს იძლევა. ნაყოფი შედარებით დიდი ზომისაა - 12-13,5 გრამი. ლეხანი თეთრი და ქათქათაა, გამოდის მთლიანად ან ნახევრად, გულის გამოსავლიანობა 45-48%-ია.

ჩნდლერი

ამერიკული წარმოშობის ჯიშია, გამოყვანილია კალიფორნიაში, სადაც იგი ერთ-ერთი ძირითადი ჯიშია. საუცხოოდ ეგუება ჩვენს პირობებს. ხე საშუალო ზრდისაა, ვარჯი ზემოთ მიმართულია.



ხასიათდება ლატერალური ტიპის მტენისებრი მსხმოიარობით, ყვავილობს აპრილში, მწიფდება შუა სექტემბერში, მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მე 3 - 4 წელს. გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით - ჰექტარზე სრულმსხმოიარე ბაღი 5 - 6 ტონა ნაყოფს იძლევა.

თხელნაჭუჭა

ესეც სელექციური ჯიშია, შერჩეული თავისუფალი დამტვერვის შედეგად მიღებული ნათ-

სარებიდან. ბიოლოგიურ - სამეურნეო მახასიათებლებით ექვსწლიანი ხის სიმაღლე, 3 მეტრია, მსხმოიარობს ლატერალურ კვირტებზე, ყვავილობს აპრილის პირველ ნახევარში, ახასიათებს მეორადი ყვავილობა, მწიფდება სექტემბერში ამ ასაკის ხე საშუალოდ 6 კგ მაღალხარისხიან ნაყოფს იძლევა. ნაყოფი საშუალო ზომისაა - 10 გრამიანი, მომრგვალო ფორმისაა, ნაჭუჭი თხელია და 1,1 მმ-ს შეადგენს. ადვილად მტვრევადია. ღია ჩალისფერია, გული მთლიანად ავსებს ნაჭუჭის ღრუს, გამოდის მთლიანად, აქვს საუცხოო გემო, გულის გამოსავლიანობა 53%-ია, ცხიმის ანობა კი 68,5%-ია.

სილისტრანსი

ბულგარული ჯიშია. საქართველოში 1985 წელს შემოიტანეს და საკმაოდ გავრცელდა. ხე საშუალო ზრდისაა, ხასიათდება მცირე მოცულობის კომპაქტური ვარჯით, ყვავილობს მაისის პირველ ნახევარში, მსხმოიარობს როგორც კენწრული (99,4%) ისე გვერდით (74%) სანაყოფე კვირტებზე, რომელზეც 2-3 ნაყოფი განთავსებულია. მწიფდება სექტემბრის პირველ ნახევარში ნაყოფი მოგრძო - ელიფსური, ნაყოფის მასა 8,2 - 8,5 გრამია. ნაჭუჭი ღია ჩალისფერია და საკმაოდ თხელი - 1,0 მმ. ადვილად მტვრევადია. გული ღია ჩალისფერია და მთლიანად ავსებს ნაჭუჭის ღრუს. გემრიელია, გულის გამოსავლიანობა 51%-ია, ცხიმის ანობა კი - 70%.

პაპანი

კაკლის განსაკუთრებული და გამორჩეული ჯიშია, მისი კაკლის წონა საშუალოდ 8 გრამია, მოგრძო ფორმისაა, თხელი ნაჭუჭი, ძალიან გემრიელია, იგი ერთდროული სიმწიფის უხვმოსავლიანი ჯიშია. ჩვენს შიდა ბაზარზე საკმაოდ ძვირად ფასობს და მისი ნაჭუჭიანი ნივთი 6-7 ლარი ღირს. ამერიკაში კი საშუალოდ 10-12 დოლარი და ჩვეულებრივ ენ. ბერძნულ ნივთზე ორჯერ ძვირად ფასობს. ძალზე ცხიმოვანი და მისგან გამოხდილი ზეთი დიდ ბრიტანეთში 20 ფუნტ სტერლინგზე ძვირი ღირს. კაკალნაყოფიანებს



შორის პეკანი ყველაზე ძვირფასი კულტურაა. მისი გარკვეული სახეები ამერიკის ჩრდილოეთ რაიონებში უმეტესად მდინარისპირა ველზე ვეღურად იზრდება. საქართველოში პეკანის კაკალი 1901 წელს შემოიტანეს და მისი ნარგავობა ძირითადად შავი ზღვისპირა რაიონებში გვხვდება. ჩვენში მსხმოიარე ასაკის ველურ ჯიშების ხეებს შეხვდებით აჭარის ზღვისპირა რაიონებში, გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში. პეკანის კაკალი მეტად ძვირფასი კაკლოვანი კულტურაა, ის მძლავრი ხეა, სიმაღლე 60 მეტრამდე. აქვს მსხვილი, ნაწვეტებული ფოთლები, რომლებსაც ფოტონციდების მაღალი შემცველობა ახასიათებს და მსგავსად ევკალიპტისა, გამოიყენება კოლოებისა და სხვა მავნე მწერების წინააღმდეგ. პეკანი უფრო ყინვაგამძლე ვიდრე კაკალი, აქედან გამომდინარე, სპეციალისტების დასკვნებით, მისი გავრცელება შეიძლება საქართველოს მთის წინა ზონებშიც და ამის უდიდესი შესაძლებლობაც არსებობს. მისი ხეები იძლევა საუკეთესო ხარისხის სავერჯე მერქანს. ხე მეტად ლამაზია და ხანგრძლივი სიცოცხლის უნარის მქონეა. ამავე დროულად იგი გზისპირებისა და პარკებისათვისაც საუკეთესო სახეივნო მცენარეა. ასე, რომ პეკანს სპეციალური საკმაოდ საინტერესო და მომგებიან პერსპექტივებს უწინასწარმეტყველებენ და ფერმერებსაც ამ კულტურით სერიოზულად დაინტერესებას ურჩევენ.

სასანაბლო ჩივილი პროფესიონალებს

სასანაბლო ნუგარი - კაკლის მურაბა

დანამდვილებით ვერავინ იტყვის, თუ როდის მოიფიქრა ჩვენმა დიდმა წინაპარმა უმწიფარი კაკლის ნაყოფისაგან, რომლის მწვანე, მასის წვენი ნამდვილი საწამლაგია და თანამედროვე ბრაკონიერებისათვის ე.წ. „შპარგალის“ მიწოდებად თუ არ ჩამთვლება, გეტყვით, რომ უხსოვარი დროიდან დანაყილი მწვანე მასის წვენი ჩვენს პატარა მდინარეებში თევზს წამლაგდენ...



სხვათა შორის, ეს არ გახლავთ ყურმოკრული ამბავი, ეს პროცესი მე ბავშვობაშიც მინახია გურია-აჭარის სოფლებში, როცა დღეის კალმას ენ „ნიგვის ნაჭას“ დააყრიდნენ. შოდა, საინტერესოა, ათეული საუკუნეების წინ, რომელ ბრძენ ქართველს მოუვიდა თავში იდეა, რომ ერთი შეხედვით პრიმიტიული ქიმიური რეაქციით (ჩაუმქრალი კირით) ნამდვილი საწამლაგი გაენეიტრალეხა და მისგან არა მარტო უგემრიელესი საკვები პროდუქტი, არამედ ერთგვარი უებარი სამკურნალო თვისებების მქონე, თავზე დამზადებული მურაბა შეექმნა. ჩვენი გენის უნიკალურობაზე, ნიჭიერებაზე და გენიალურობაზე, მარტო ეს მაგალითიც კმარა და შემთვევით არც ისაა, რომ ბოლო დროს კაკლის მურაბით, მისი უნიკალური თვისებებით და ღირებულებებით მსოფლიო და ევროპული ბაზარი სერიოზულადაა დაინტერესებული. ექსპერტების ვარაუდით, კაკლის მურაბა სამომავლოდ ჩვენი აგროსექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტად მოიაზრება. ამ პროდუქტის დამზადება, სხვა მურაბებთან შედარებით ტექნოლოგიურად ერთიანი და დროში გაჭიმულია, მაგრამ იგი განუყოფელია და თანაც ჩვენი, ეროვნული ბრენდია, ამიტომაც, გადაწყვიტეთ მონაწილეობა მისი დამზადების რეცეპტი და სრული ტექნოლოგიური ციკლის აღწერა.

- მასალა:**
- 1) ჯერ კიდევ მწვანე და გულგაუმარებელი კაკალი - 100 გ
- 2) შაქარი - 2,5 კგ
- 3) ჩაუმქრალი კირი - 0,5 კგ
- 4) შაბი - 1 სუფრის კოვზი
- 5) მიხაკი, დარიჩინი, ილი, ვანილი - გემოვნებით.

საშუალო სიდიდის (მწვანე) კაკალი გავთალოთ, ჩავეყაროთ შესაფერის ჭურჭელში, დავასხათ ბლომად წყალი და სამ დღეს გავაჩეროთ. ყოველდღიურად, სამჯერ გუცვალოთ წყალი, მეოთხე დღეს წყალი გადავწეროთ, თითოეული კაკალი წვრილი ჩხირით დავწვლიტოთ, დავაყაროთ 500 გრამი ჩაუმქრალი კირი, დავასხათ იმდენი წყალი, რომ კარგად დაიფაროს და გავაჩეროთ სამი დღე ღამის განმავლობაში. მეოთხე დღეს კაკალი გავრეცხოთ გამდინარე წყლით, რათა კირის ნარჩენები არ გაჰყვას. გარეცხილი კაკალი ჩავეყაროთ შესაფერის ჭურჭელში, დავასხათ წყალი და ოთხ დღეს გავაჩეროთ. (თუ კაკალი კირში გამოყვანილი შევიძინეთ, როგორც ამას ბოლო დროს ბევ-

რი აკეთებს და დიასახლისებსაც პროცესი უმარტივდებათ, ამ შემთხვევაში მურაბის მომზადების პროცესი - აქედან უნდა დაიწყოთ - ნ. ყ). დღეში სამჯერ უნდა შეუცვალოთ წყალი. მეოთხე დღეს, ქვაბში ბლომად ჩავასხათ წყალი, ავადულოთ, ჩვეყაროთ კაკალი, ვხარშოთ 15 წუთი და წყალი გადავღვაროთ. ქვაბში კვლავ ჩავასხათ წყალი, ავადულოთ, ჩავეყაროთ ერთი სუფრის კოვზი შაბი, ჩავეყაროთ გადწურული კაკალი და 15 წუთის განმავლობაში ვადულოთ, გადწუროთ, ამჯერად დავასხათ მდულარე წყალი და ვადულოთ 10 წუთი, შემდეგ ისევ გადავწეროთ, დავასხათ წყალი, ჩავეყაროთ ერთი ჭიქა შაქრის ფხვნილი და ქვაბში არსებული კაკალი ვადულოთ ნახევარი საათი. შემდეგ წყალი გადავწეროთ. ამ პროცედურების დამთავრების შემდეგ სუფთ ქვაბში ჩავასხათ ბლომად წყალი, ადულოთ მისთანავე ჩავეყაროთ 2-2,3 კილოგრამი შაქარი, ვადულოთ სიროფის წარმოსაქმნელად, შემდეგ ჩავეყაროთ შიგ კაკალი და ვადულოთ ნელ ცეცხლზე. კაკლის ხარშვის დროს ჩავამატოთ პატარა, სუფთა მარლის პარკში მოთავსებული დანაყილი დარიჩინი, მიხაკი, ილი და ვხარშოთ, სანამ კაკალი მზად არ იქნება. (ამის ნიშანია ის, რომ კაკალი შავად უნდა ბრწყინავდეს - ნ. ყ.) როცა კონსისტენციაც სასურველი იქნება და მურაბა მოხარშება, ცეცხლიდან უნდა გადმოვდგათ და გემოვნებისად მიხედვით დავუმატოთ ვანილი.

კიდევ ერთი რჩევა პრაქტიკოსი სპეციალისტებისაგან:

მეზობელი გურიის მვიდრი, გამოცდილი მეზობელი ბორჩხაძე ურჩევს მათ, ვისაც გადამწვეტილი აქვს კაკლის ხეების დამყნობით გამრავლება, ერთი მეტად მარტივი და გამართლებული მეთოდი გაუზიაროს. საძირედ იგი ველურ, ენ. კერკეტ კაკალს იყენებს, იმას ჩვენში ზოგი ამერიკულსაც რომ ეძახის, მყნობისათვის ველური კაკლის მერქანს გზურღავთ იმ ზომამდე, რა სისქისაც კულტურული (დასამყნობი) ჯიშის დიამეტრია, გავუყრით მას ამ ნახვრეტში, ქერქის კონტაქტის ადგილებს შემოვსერავთ, ბაღის მაღალი დავფარავთ, შემოვავსებთ ბაღის მალამოთი გაპოხილ ტილოს და კაკალი უკვე დამყნობილია. გიგლა ბორჩხაძე ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაღდათიდანაა, სადაც მას ამ მეთოდით საკუთარ მეურნეობაში ასობით სასურველი ნერგი გამოჰყავს. სპეციალისტების აზრით ამ მეთოდს აქვს გარკვეული უპირატესობები, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.



ნუგარ ჟორდანი

მათთვის, ვისაც ჩვენთვის უთავიანია! მოგვხვდებით, მოგვხვდებით თქვენთვის საინტერესო თემაზე და წინადადებათა კვათხით მითითებულ მისამართზე: საპარტოვალ, გათუში (6010) გოგაბაშვილის 46ა ელ. ფოსტა: agroservice.center@yahoo.com ტელ.: 593100829



ჩივილი ნუგარი ჟორდანი

გაზეთში გამოქვეყნებული მონაცემები ავტორისა და არ გამოხატავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს

გაზეთში გამოქვეყნებული მონაცემები ავტორისა და არ გამოხატავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს

გაზეთში აიწყო, დაკავალდონდა და დაიბეჭდა შპს „ბესტკომპანი ჯორჯიას“ მიერ ელ. ფოსტა: BESTCOMPANY_Z@YAHOO.COM